განმარტებითი ბარათი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

კანონპროექტის შემუშავების მიზეზი არის შემდეგი გარემოება: კოდექსს 2020 წლის 17 ივლისს განხორციელებული ცვლილებით დაემატება 290^4–290^6 მუხლები, რომლითაც განისაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მერიის სტრუქტურული ერთეულის ან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება და მისი აღსრულება სამართალდარღვევის ფაქტის ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებისას, ასევე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მერიის სტრუქტურული ერთეულის ან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ გამოტანილი დაჯარიმების შესახებ დადგენილების (საჯარიმო ქვითრის) აღსრულებისას შეღავათით სარგებლობის წესი.

აღსანიშნავია, რომ კოდექსისათვის დამატებულ 290^4-290^6 მუხლებში, იქ სადაც გაკეთებულია ჩამონათვალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ, არ არის მითითებული 125^3 მუხლი, რომლითაც მოწესრიგებულია თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევის საკითხები. ჩამონათვალში მითითებულია მხოლოდ 125^2 და 125^4 მუხლები, რომლითაც მოწესრიგებულია დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევის და მუნიციპალიტეტის (იმის გათვალისწინებით, რომ კოდექსში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის პარკირების სფეროში სამართალდარღვევების საკითხები ცალკე მუხლად არის გატანილი, იგულისხმება გარდა ბათუმის მუნიციპალიტეტისა) ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების წესების დარღვევის საკითხები. შესაბამისად, კოდექსისათვის წარმოდგენილი კანონპროექტით 290^4-290^6 მუხლებში, იქ სადაც გაკეთებულია ჩამონათვალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ, მიეთითება ასევე 125^3 მუხლი.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

აღწერილი პრობლემის გადასაჭრელად (კონკრეტული რეგულაციების ბათუმის მუნიციპალიტეტისთვისაც გასავრცელებლად) აუცილებელია მოცემულ საკანონმდებლო აქტში ცვლილების განხორციელება.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღებით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კანონით დარეგულირდება რიგი ქმედებები, განისაზღვრება სამართალდარღვევად და დაწესდება შესაბამისი ჯარიმები, გაუმჯობესდება საჯარიმო ქვითრის დადგენილების ჩაბარების წესი, ჯარიმების აღსრულებასთან დაკავშირებული მექანიზმი გაცილებით მოქნილი და ეფექტური გახდება, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს ქ. ბათუმში საგზაო მოძრაობის წესების გაუმჯობესებას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი კანონპროექტი უკავშირდება კონკრეტული რეგულაციების ბათუმის მუნიციპალიტეტისთვის გავრცელებას და ითვალისწინებს ცვლილებების შეტანას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 287-ე, 290^4-290^6 და 313-ე მუხლებში.

კანონპროექტის მიხედვით კოდექსის 287-ე, 290^4-290^6 და 313-ე მუხლებს ტექსტში ემატება ბათუმის მუნიციპალიტეტის მარეგულირებელი 125^3 მუხლი, რის შედეგადაც აღნიშნული მუხლებით მოწესრიგებული სამართლებრივი ურთიერთობები გავრცელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტშიც, კერძოდ:

- კოდექსის 287-ე მუხლში განსახორციელებელი ცვლილებების შესაბამისად, ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების აღსრულების ხანდაზმულობის ვადა, ექვსი თვის ნაცვლად გაიზრდება ერთ წლამდე.
- კოდექსის 290^4-290^6 მუხლებში პროექტით გათვალისწინებული ცვლილებების შესაბამისად, განისაზღვრება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მერიის სტრუქტურული ერთეულის ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების შესაბამისი პირისთვის ჩაბარებისა და აღსრულებისას შეღავათით სარგებლობის წესები და პირობები.
- ცვლილებებით ასევე დგინდება ქ. ბათუმის მერიის სტრუქტურული ერთეულისთვის ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დაფუძნებული იურიდიული პირისთვის კოდექსის 290^6 მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციაზე (მათ შორის პერსონალური მონაცემებზე) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, აღნიშნული ინფორმაციის დაცულობის შესაბამისი გარანტიებით.
- კანონპროექტის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 313-ე მუხლს ემატება 21-ე ნაწილი, რომლის მიხედვითაც ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ 2021 წლის 1 სექტემბრამდე უნდა უზრუნველყოს კოდექსის 125^3 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცება.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

ამ პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება წინამდებარე კანონპროექტზე, რადგან არ არის ინიციირებული საქართველოს მთავრობის მიერ.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე. კანონპროექტი არ ითვალისწინებს უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

ინიციატორის მიერ არ მოითხოვება კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯები საჭიროების შემთხვევაში დაფინანსდება ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის ამოქმედების შედეგად მიღებული დამატებითი შემოსავლები აღირიცხება სახელმწიფო და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტში, რადგან ვიდეო ან ფოტო ფირზე სამართალდარღვევების დაფიქსირების შემთხვევაში შესაძლებელია გაიზარდოს შესაბამისი სამართალდარღვევების გამოვლენა, რომლებიც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1253 მუხლშია გათვალისწინებული.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ადმინისტრაციული სამართალდარღვევების განხილვასთან დაკავშირებული საჭირო ხარჯები დაფინანსდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი წესით განსაზღვრული ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული

მერიის სტრუქტურული ერთეულის ან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა ჰქონდეს უარყოფით გავლენა იმ პირებზე, რომლებიც ჩაიდენენ კანონპროექტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებს. გამომდინარე იქიდან, რომ ასეთის არსებობის შემთხვევაში, მათ მოუწევთ შესაბამისი ჯარიმების გადახდა, რადგან ვიდეო ან ფოტო ფირზე სამართალდარღვევების დაფიქსირების შემთხვევაში შესაძლებელია გაიზარდოს შესაბამისი სამართალდარღვევების გამოვლენა, რომლებიც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1253 მუხლშია გათვალისწინებული.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტის მიხედვით გათვალისწინებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში პარკირებთან დაკავშირებული საკითხების იმგვარად დარეგულირება, როგორც ეს ხდება სხვა მუნიციპალიტეტებში, რაც გამოიხატება შესაბამისი სამართალდარღვევების ვიდეოფირით დაფიქსირებაში. აღნიშნულ შემთხვევაში შესაძლოა გაიზარდოს სამართალდარღვევათა გამოვლენის შესაძლებლობა. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ კანონპროექტის მიხედვით არ ხდება ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა გადასახდელის ოდენობის განსაზღვრა, მეტიც, უცვლელი რჩება დღეს მოქმედ რედაქციაში არსებული ჯარიმების ოდენობები შესაბამისი სამართალდარღვევებისათვის, რაც თავის მხრივ განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125^3 მუხლში.

$ბ^1$) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი არ ახდენს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთასშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან" ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტი შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი: კანონპროექტის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები: რესან კონცელიძე, ზაალ მიქელაძე, ანზორ ბოლქვაძე

ვ) კანონპროექტის ინიციატორი: კანონპროექტების ინიციატორები არიან: რესან კონცელიძე, ზაალ მიქელაძე, ანზორ ბოლქვაძე